შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ქართული, როგორც მეორე ენა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, პროფესიული ცოდნა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა ბარიერის გადალახვა ხუთივე ნაწილში.

ასევე აუცილებელია ბარიერის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

ყურადრებით გაეცანით თითოეული დავალების პირობას!

პასუხების ფურცელზე ამა თუ იმ დავალების გადატანის წესი თან ახლავს ყოველ დავალებას.

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 95, ხოლო ამ ტესტში მოცემული დავალებებისა – 84.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (11 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 1. თანამედროვე გაგებით, წიგნიერია ის:

ა) ვინც ტექსტიდან ციტატებს იხსენებს და ასახელებს.
ბ) ვისაც ტექსტის კითხვა სწრაფად შეუძლია.
გ) ვისაც ძალიან ბევრი წიგნი აქვს წაკითხული.
დ) ვისაც წაკითხულის ინტერპრეტირება და შეფასება შეუძლია.

(1) 2. სოციალური ასპექტი გულისხმობს:

ა) არგუმენტირებული მსჯელობისა და დისკუსიის უნარს.
ბ) დაგროვილი ცოდნის საფუძველზე წაკითხულის ინტერპრეტირების უნარს.
გ) ცნობილი მწერლების ნაწარმოებების ციტირების უნარს.
დ) წაკითხულის კრიტიკულად შეფასების უნარს.

(1) 3. რესპონდენტის აზრით, მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე დადებითად აისახება:

ა) მათემატიკური ამოცანების დამახსოვრება.
ბ) მხატვრული ლიტერატურის კითხვა.
გ) წაკითხული ტექსტების შინაარსის დასწავლა.
დ) წიგნიერების მაღალი დონე.

(1) 4. ინტერვიუს მიხედვით, სკოლების ბიბლიოთეკების უმეტესობა მოსწავლეებს ძირითადად სთავაზობს:

ა) კომფორტულ სამკითხველო გარემოს.
ბ) მეორად სასკოლო სახელმძღვანელოებს.
გ) მრავალფეროვან კლასგარეშე ლიტერატურას.
დ) მხოლოდ კლასგარეშე საკითხავ წიგნებს.

(1) **5. წიგნიერების განვითარების მთავარი წინაპირობაა:**

ა) ადრეულ ასაკში ბავშვის კომპიუტერული თამაშებით გართობა.
ბ) ადრეულ ასაკში მეტყველების სტიმულირება.
გ) რაც შეიძლება მეტი წიგნის შეძენა ოჯახში.
დ) 5-6 თვის ბავშვისათვის წიგნების კითხვა.

(1) **6. ქალბატონი ნათელას აზრით, დადებით ემოციურ დამოკიდებულებას წიგნის მიმართ ბავშვს უყალიბებს მშობელი, რომელიც:**

ა) ადრეული ასაკიდან ასწავლის შვილს წერა-კითხვას.
ბ) ადრეული ასაკიდან უკითხავს შვილს.
გ) დიდ დროს უთმობს ბავშვთან თამაშს.
დ) შვილს კომფორტულ გარემოს უქმნის.

(1) **7. მოსწავლეებში კითხვის უნარის განვითარება დამოკიდებულია:**

ა) აუდიო-ვიდეო- თუ ფოტომასალების ხარისხზე.
ბ) კითხვის სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებზე.
გ) წასაკითხი ტექსტის სიმარტივეზე.
დ) წერის ზოგად კულტურაზე.

(1) **8. განათლების მთავარი პრინციპი – „ასწავლე, როგორ ისწავლოს“ – მოსწავლეს საშუალებას აძლევს:**

ა) გამოიყენოს მხოლოდ სახელმძღვანელოში არსებული სასწავლო მასალები.
ბ) ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვაგვარად არ განიხილოს.
გ) შეაჯამოს მიღებული ინფორმაცია და კრიტიკულად შეაფასოს შესრულებული სამუშაო.
დ) შესასწავლ თემაზე მუშაობისას არ გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია.

(1) 9. ინტერვიუს მიხედვით, წიგნიერების პოპულარიზაციის მიზნით ზოგიერთი სკოლა ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) თემატური გეგმისათვის დამხმარე მასალების ადაპტირებას მშობლებს ავალებს.

ბ) თემატური გეგმისათვის სასწავლო მასალების შერჩევას მოსწავლეებს ავალებს.

გ) წიგნიერების გაკვეთილს არჩევითი საგნის სტატუსს ანიჭებს.

დ) წიგნიერების გაკვეთილს სავალდებულო საგნის სტატუსს ანიჭებს.

(1) 10. წარმოდგენილი ინტერვიუს უმთავრესი საკითხია ის,

ა) თუ რა გავლენას ახდენს წიგნიერებაზე ტექნოლოგიური წინსვლა.

ბ) თუ რა დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას წიგნიერების მიმართ.

გ) თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება წიგნიერების განვითარებას.

დ) თუ რა მნიშვნელობა ენიჭება წიგნიერების საერთაშორისო კვლევას.

(1) 11. წარმოდგენილ ინტერვიუში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ,

ა) რომ ექვს წლამდე ბავშვის აქტივობაში წამყვანი თამაშია და არა დასწავლა.

ბ) რომ მასწავლებელს შეუძლია შესასწავლი თემა დამატებითი ტექსტებით გაამდიდროს.

გ) რომ მშობელმა ბავშვისათვის წიგნის წასაკითხად ყოველდღე მცირე დრო უნდა გამოყოს.

დ) რომ წიგნიერების განვითარებისათვის აუცილებელია კვლევების სისტემატური ჩატარება.

II. კითხვა (28 ქულა)

(10) **ყურადღებით წაიკითხეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „დამრიგებელი“:**

ჩვენი სკოლის გვერდზე გორა იყო. იმ გორაზე ბევრი საინტერესო ამბავი ხდებოდა. ერთხელ ძაღლების მთელი ხროვა მოვიდა და დაერივნენ ერთმანეთს. ჩვენ ვჭყიოდით, მუშტებს ვუქნევდით, ისინი მაინც თავისას განაგრძობდნენ.

შემოვიდა დამრიგებელი, ფერმკრთალი, ტანსწორი ქალი, შემოანათა თეთრად დაფენილი საყელოთი და თითქოს გაჩერებული შავი თვალებით. ჩვენ ჩვენს ადგილებზე დავსხედით, ცალი თვალი ისევ ძაღლებისაკენ გაგვირბოდა. დამრიგებელმაც გაიხედა, მაგრამ თითქოს არაფერი დაუნახავსო, მშვიდად მიუჯდა მაგიდას, მშვიდად ამოიკითხა სია, მშვიდად დაიწყო მოწაფეების გაძახება. ოთხნი გაიძახა, სამს „ორი“ დაუწერა, ერთს – „სამი“. ორები რომ მიიღეს, ისინი ჩუმად იყვნენ, სამის მიმღები ტიროდა, ის ფრიადოსანი გოგო იყო, მშობლებიც კარგი ჰყავდა. დამრიგებელმა მკაცრად უთხრა, – ნუ ზლუქუნებ, სწავლა არის საჭიროო. გოგო უფრო ხმამაღლა აზლუქუნდა. მაშინ დამრიგებელმა ხელი მოჰკიდა, დერეფანში გაიყვანა და უთხრა: – ტირილს რომ მორჩები, მერე შემოდიო. გოგო სულ აღარ შემოსულა. გარეთ ძაღლები კვლავ თავისას განაგრძობდნენ.

გორაზე ჩვენი სკოლის დარაჯი ავიდა, ძაღლებს ფიცრის ნატეხით დაერია. დარაჯს ვიღაცა კაციც აეშველა. ძაღლები წკავწკავებდნენ, სკოლა ჩუმად იყო. დამრიგებელი გაკვეთილს ხსნიდა. მგონია, არავის არაფერი გაუგია. ზარის დარეკვამდე მასწავლებელმა ესეც თქვა: – დღეიდან ბინებში ჩამოვლას ვიწყებ, თქვენი ოჯახური პირობები უნდა შევისწავლოო...

მე თავზარი დამცა დამრიგებლის ნათქვამმა. მთელი ჩვენი ოჯახი ერთ კლდესმიკრულ პატარა ქოხში ცხოვრობდა, რვა კვადრატულ მეტრში, ისიც არასრულ რვა კვადრატულ მეტრში. ხუთნი ვიყავით: დედა, ბებია, ჩემი და, ჩემი ძმა და მე. ერთი „კუშეტკა“ გვედგა, ერთი უზურგო „ატამანკა“, ერთი მაგიდა. მაგიდის ქვეშ – სკივრი, აქეთ, კარისკენ –„ტუმბოჩკა“, კარს უკან – ნავთქურა. მე და ჩემი ძმა ერთად ვიძინებდით, დედა და ჩემი და – ერთად. ბებია ძირს იძინებდა, იატაკზე. იატაკი მიწის პირად იყო. თუ დიდი წვიმა წამოვიდოდა, წყალი შინ შემოგვდიოდა. იატაკი რომ დასველდებოდა, მაშინ ბებიას მაგიდაზე ეძინა. მაგიდა პატარა იყო, მაგრამ არც ბებია იყო დიდი, მით უფრო, თუკი მოიკუნტებოდა.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

დედა სამუშაოზე დადიოდა, ბავშვებს ბებია გვივლიდა, ყველანი ადრე ვდგებოდით. ბებია მე მომატანინებდა პურს, შავ პურს, თვითონ გააკეთებდა ლობიოშეჭამანდს ან უხორცო სუპს ან ტყუილ ჩიხირთმას... და ვიყავით მშვიდად, ტკბილად. ჩვენთან არავინ ჩხუბობდა, ამას რატომ არ ჭამ ან გაკვეთილებს რატომ არ ამზადებო...

„თქვენი ოჯახური პირობები უნდა შევისწავლოო“, და შინ წელმოწყვეტილივით დავბრუნდი. უგემურად, ღიზიანად შევჭამე ცოტა რამ და წავედი, დავიკარგე, ხუდადოვის ტყის პირას ავბორიალდი. იქ ყოველთვის იყვნენ ჩემი ტოლი ბიჭები. მწვანიანზე ხან ფეხბურთს ვთამაშობდით, ხან ლახტს, ხან კოჭაობას და ხანაც კაკლაობას...

სანამ კარგად არ დაღამდა, ქვემოთ აღარ გადამიხედავს, – არ მინდოდა, დამრიგებელს შინ დავხვედროდი. მეორე დღესაც ასევე, – მოვედი სკოლიდან და დავიკარგე. მერეც, მთელ კვირას, დაღამდებოდა და მაშინ ძლივს გავბედავდი შინ შესვლას.

გადარეული იყო ბებია, ხმადაბლა, მაგრამ ცუდად მწყევლიდა დედა. მე ქვასავით ვდუმდი. ბებია იმუქრებოდა, – ამოვალ იმ შენს სკოლაში და წვრილად მოვახსენებ მასწავლებლებს შენი ხელიდან წასვლის ამბავსო. მაგრამ ბებიას სკოლაში ამოსვლა არ დასჭირდა. დამრიგებელი თვითონ ეწვია. მე, რა თქმა უნდა, შინ არ დავხვდი. ბიჭები იმ დღეს მლაშე ტბებზე ვიყავით. დამსხდარან ბებია და დამრიგებელი, კარგა ხანს ულაპარაკიათ. მე რომ დავბრუნდი, დამრიგებელი ახალი წასული იყო. ბებიამ შვებამიცემულმა მითხრა, – მოვახსენე, როგორც საჭირო იყო, შენს დამრიგებელს ყველაფერიო. მე არც ამაზე ამომიღია ხმა. მოღუშული მივუჯექი მაგიდას. შევჭამე ჩემი შესაჭმელი, მერე არითმეტიკა დავწერე, მერე – ქართული, და ადრე დავწექი. იმ ღამეს სამჯერ გამეღვიძა. მამლების ყივილი მესმოდა, მკერდში სულ რაღაც მწიწკნიდა.

მეორე დღეს თავს ვეღარ ვწევდი გაკვეთილებზე. დამრიგებელი რომ შემოვიდა, მაშინ ხომ მინდოდა, მიწაში ჩავმძვრალიყავი, თითქოს კიდეც მციოდა, მაკანკალებდა. გაიძახა სხვები. თან იმათ უსმენდა, თან მერხებს შორის მიმოდიოდა, მე სამჯერ ამიარა გვერდით. ერთხელ შეჩერდა, თავი ამაწევინა და თითქმის ჩურჩულით მითხრა, – ასწიე თავი, შენ ძალიან კარგი ბებია გყავსო.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

ორი დღის შემდეგ კი დამიძახა, ნავთით სავსე ბიდონი მომცა, – ეს ბიდონი ჩვენთან მიიტანეო. მე ვერაფერი ვთქვი, მაგრამ მაინც მიხვდა, სახლი რომ არ ვიცოდი. მასწავლა, აგერ ასე წახვალ, აგერ ასეო, და წავედი. ადვილად ვიპოვე, მივიტანე ბიდონი. შინ დამრიგებლის დედა და უმცროსი და დამხვდნენ. ბიდონი ჩამომართვეს – შემოდი, შემოდიო, – დამრიგებლის დედამ, და თითქმის ძალით შემიყვანა შინ. ორი ვაშლი მომცა. მე სულ თავჩაღუნული ვიდექი, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ მათი ოთახი ჩვენს ოთახზე პატარა იყო, მაღალი, მაგრამ პატარა. დამრიგებლის და დაბნეული, სახეარეული ანგელოზივით იყო მიმდგარი ერთ კუთხეში.

წამოვედი. ვაშლის ჭამა არ მინდოდა. მერე მაინც ფრთხილად ჩავკბიჩე. თავს ვიკავებდი, მაგრამ ერთი მწარე ცრემლი მაინც მოვიწმინდე მაჯით...

იმ დღიდან დამრიგებელი ძალიან შემიყვარდა. ვატყობდი, იმასაც ვუყვარდი.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.
ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 12. მეორე აბზაცში ბიჭი:

ა) აანალიზებს ბავშვების მიმართ დამრიგებლის დამოკიდებულებას.

ბ) აფასებს დამრიგებლის დამოკიდებულებას ატირებული გოგონას მიმართ.

გ) გამოთქვამს ვარაუდს დამრიგებლის მოქმედების მოტივაციის შესახებ.

დ) იხსენებს დამრიგებლის გარეგნობასა და მის განსაკუთრებულ სიმშვიდეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. რატომ დასცა თავზარი ბიჭს დამრიგებლის ნათქვამმა: „ოჯახური პირობები უნდა შევისწავლოო“?

ა) რცხვენოდა, რომ დედა დამრიგებელს შინ ვერ დახვდებოდა.

ბ) რცხვენოდა, რომ მთელ ოჯახს მოხუცი ბებია უვლიდა.

გ) რცხვენოდა, რომ მისი ოჯახი ღარიბულად ცხოვრობდა ქოხში.

დ) რცხვენოდა, რომ პატარა ბინაში ცოტა ავეჯი ეტეოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 14. „შინ წელმოწყვეტილივით დავბრუნდი“, – ამ წინადადებაში ჩანს ბიჭის:

ა) დაღლილობა.

ბ) სასოწარკვეთა.

გ) სიზარმაცე.

დ) უკმაყოფილება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 15. „ვიყავით მშვიდად, ტკბილად, ჩვენთან არავინ ჩხუბობდა“, – მთხრობლის ამ სიტყვებიდან ირკვევა, რომ:

ა) ოჯახის ყველა წევრი იმედით უყურებდა მომავალს.

ბ) ოჯახის ყველა წევრი პირადი პრობლემით იყო დაკავებული.

გ) ოჯახის ყველა წევრი საკუთარ სიმშვიდეზე ფიქრობდა.

დ) ოჯახის ყველა წევრი შეგუებული იყო თავის მდგომარეობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „თავს ვიკავებდი, მაგრამ ერთი მწარე ცრემლი მაინც ჩამომიგორდა ლოყაზე.“

ბ) „მაგრამ თითქოს არაფერი დაუნახავსო, მშვიდად მიუჯდა მაგიდას.“

გ) „მოღუშული მივუჯექი მაგიდას. შევჭამე ჩემი შესაჭმელი.“

დ) „უგემურად, ღიზიანად შევჭამე ცოტა რამ და წავედი, დავიკარგე.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 17. „დამრიგებელი რომ შემოვიდა, მინდოდა მიწაში ჩავმძვრალიყავი.“ რის გამო გრძნობდა ბიჭი თავს უხერხულად?

ა) რადგან ბებიამ დამრიგებელს ბიჭის „ხელიდან წასვლის“ ამბავი მოახსენა.

ბ) რადგან დამრიგებელი მის მძიმე საცხოვრებელ პირობებს უკვე იცნობდა.

გ) რადგან ეგონა, რომ დამრიგებელს მისი ოჯახის წევრები არ მოეწონა.

დ) რადგან მასთან სახლში მისულ დამრიგებელს შინ არ დახვდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 18. რა განზრახვით გაატანა დამრიგებელმა ბიჭს ნავთიანი ბიდონი?

ა) სურდა ბიჭისთვის დაენახვებინა, რომ მხოლოდ ის არ ცხოვრობდა მძიმე პირობებში.

ბ) სურდა ბიჭისთვის ეჩვენებინა, რომ უმცროს მეგობრად მიიჩნევდა.

გ) სურდა, რომ ბიჭს მისი ოჯახის წევრები გაეცნო.

დ) სურდა, რომ ბიჭს მისი სახლის მისამართი სცოდნოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 19. რა ჩანს წინადადებიდან: „დამრიგებლის და დაბნეული, სახეარეული ანგელოზივით იყო მიმდგარი კუთხეში“?

ა) გოგონას ეუხერხულა, რომ ბიჭს მხოლოდ ვაშლით გაუმასპინძლდნენ.

ბ) გოგონას ეუხერხულა, რომ დედამ ძალით შეიყვანა ბიჭი სახლში.

გ) გოგონას იმის შერცხვა, რომ ბიჭმა მისი ოჯახის სიღარიბე დაინახა.

დ) გოგონას იმის შერცხვა, რომ დამ თავის მოსწავლეს სახლში ნავთი მიატანინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 20. მოთხრობაში არაფერია ნათქვამი:

ა) იმის შესახებ, თუ რას განიცდიდა ბიჭი დამრიგებლის ვიზიტის შემდეგ.

ბ) იმის შესახებ, თუ რატომ ბრუნდებოდა ბიჭი სახლში ძალიან გვიან.

გ) იმის შესახებ, თუ რის გამო შეაქო დამრიგებელმა ბიჭის მოხუცი ბებია.

დ) იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა ბიჭის დამოკიდებულება დამრიგებლის მიმართ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 21. რა დაანახვა დამრიგებელმა ბიჭს თავისი საქციელით?

ა) ადამიანის ღირსება მატერიალური მდგომარეობით არ იზომება.

ბ) დამრიგებელი ყოველთვის სამართლიან გადაწყვეტილებას იღებს.

გ) ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვანი სულიერი სიმშვიდეა.

დ) სასურველია, რომ მოსწავლე ენდობოდეს თავის დამრიგებელს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(8) 22. ტექსტიდან ამოღებულია 8 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 4 წინადადება ზედმეტია.

წიგნის ილუსტრაცია

ილუსტრაციას უწოდებენ გამოსახულებას, რომელიც ახლავს და ავსებს ლიტერატურულ ტექსტს. მისი ყველაზე ადრეული ფორმა იყო გამოქვაბულის ნახატები, როდესაც ადამიანები კედელზე გამოსახავდნენ, თუ რა ნახეს თავიანთი საცხოვრებლის მიმდებარე ადგილებში. (1) --------. მოგვიანებით ილუსტრაციამ ბევრად დახვეწილი ფორმა და მნიშვნელობა შეიძინა.

ბეჭდვითი საშუალებების გამოგონებამდე წიგნებს ხელით ასურათებდნენ. შესაბამისად, მათი რაოდენობა შეზღუდული იყო. (2) --------. მათში შესული ტექსტები მხატვართა მიერ იყო ილუსტრირებული. ამან ილუსტრაციის პოპულარობას საგრძნობლად შეუწყო ხელი. დაახლოებით 1827-1840 წლებში პარიზში გამოიცა ჟურნალი Le Voleur-ი, რომელიც ძალიან მდიდარი იყო ნახატებით. (3) --------.

ხელოვნების ამ დარგის ოქროს ხანად ითვლება პერიოდი 1880-იანი წლებიდან I მსოფლიო ომამდე, როდესაც ამერიკულმა გაზეთებმა, მასობრივმა ჟურნალებმა და დასურათებულმა წიგნებმა ხელი შეუწყვეს მედიაბაზრის ჩამოყალიბებას. ბეჭდვითი ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ ილუსტრატორებს მეტი თავისუფლება მისცა. (4) --------. 1950-60-იან წლებში განსაკუთრებით განვითარდა სარეკლამო სფერო, რამაც ხელი შეუწყო ილუსტრაციების მნიშვნელობის ზრდას. (5) --------.

საქართველოში ილუსტრაცია ხელნაწერის გაფორმებასთან იყო დაკავშირებული. (6) --------. აღსანიშნავია ბექა ოპიზარის განუმეორებელი ორნამენტები და რელიეფური წარწერები, შემდეგ კი – უკვე ქართული წიგნის გრაფიკის ფუძემდებლის, გ. ტატიშვილის, ილუსტრაციები. (7) --------. წიგნის მხატვრობაზე წარმატებით მუშაობდნენ ცნობილი ქართველი მხატვრები: მ. თოიძე, შ. ქიქოძე, ლ. გუდიაშვილი, ს. ქობულაძე, ე. ახვლედიანი და სხვები. (8) --------. ქართული პოლიგრაფიისა და ელექტრონული მედიის განვითარებასთან ერთად, ილუსტრაცია დღეს კიდევ უფრო ვითარდება და მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს თანამედროვე ხელოვნებაში.

გამოტოვებული წინადადებები:

ა) ადრინდელი ქართული ხელნაწერების ილუსტრაციები გამოირჩეოდა დახვეწილი დეკორატიულობით, შესრულების მაღალი დონით.
ბ) ამიტომ მიიჩნევდა მეცნიერი ბილფორდი, რომ გამოქვაბულის ადამიანები მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ.
გ) აქედან გამომდინარე, სრულყოფილი სანადირო იარაღის დამზადებას შესაბამისი ინტელექტი და შრომა სჭირდებოდა.
დ) გარდა ამისა, მათ მიზანს წარმოადგენდა ტომის წევრების ინფორმირება, თუ რამდენად იყო შესაძლებელი საკვების მოპოვება აღნიშნულ ტერიტორიაზე.
ე) ვიზუალური ხელოვნების სამყაროში კარგი ილუსტრაციის მნიშვნელობა დღემდე განუხრელად იზრდება.
ვ) თანამედროვე ქართულ ნამუშევრებს შორის კი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს რუსუდან ფეტვიაშვილის ილუსტრაციები.
ზ) ილუსტრაცია ტექსტში ჩართული სურათია, რომელიც მის შინაარსთანაა დაკავშირებული.
თ) Le Voleur-ის გამომცემლებმა შენიშნეს, რომ კარგი ილუსტრაციები ისევე განაპირობებდა ჟურნალების პოპულარობას, როგორც კარგი ტექსტი.
ი) XIX საუკუნიდან კი მასობრივად გავრცელდა ნაბეჭდი წიგნები.
კ) პირველ გვერდზე შეიძლება იყოს რომელიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდის ილუსტრაცია, წიგნის ავტორის პორტრეტი და სხვა.
ლ) სწორედ მის მიერაა დასურათებული იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ და „ბუნების კარი“.
მ) შემოქმედებითმა თავისუფლებამ კი განავითარა ახალი სტილი, რომლის გამოყენებით მათ სერიოზულ ფინანსურ წარმატებას მიაღწიეს.

ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით **X** ნიშანი.

(10) 23. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ. ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

„რთული“ ბავშვის აღზრდის პრობლემები

1. „რთული“ მოზარდების კატეგორიას მიაკუთვნებენ იმ ბავშვებს, რომლებთანაც მშობლებსა და მასწავლებლებს მუშაობა უჭირთ. უფროსები ფიქრობენ, რომ ოჯახსა თუ საკლასო ოთახში მისაღები ქცევის შესახებ ამგვარ მოზარდთან საუბარს აზრი არა აქვს, რადგანაც იგი ჯიუტი, თავნება, უყურადღებო, ზოგ შემთხვევაში აგრესიული და უმართავიც კი არის. რომელი პერიოდიდან უყალიბდება ბავშვს ისეთი თვისებები, რომლებიც საზოგადოებას აფიქრებინებს, რომ ის „რთული“ ქცევისაა? ფსიქოლოგების უმრავლესობის აზრით, პიროვნება ხუთი წლის ასაკისათვის ძირითადად უკვე ჩამოყალიბებულია და ამის შემდეგ ძალზე ძნელია ბავშვის აღზრდაში დაშვებული სერიოზული შეცდომის გამოსწორება. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ, არასწორი აღზრდის მიუხედავად, ზოგი ბავშვი დამოუკიდებელ, ძლიერ პიროვნებად ზრდასრულ ასაკში ყალიბდება და აღწევს გარკვეულ წარმატებას პროფესიულ წინსვლასა თუ პირად ცხოვრებაში.
2. ბავშვები სკოლაში ოჯახებიდან მიდიან და, შესაბამისად, მათ უკვე გავლილი აქვთ აღზრდის ოჯახური სკოლა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის ძირითადი პიროვნული თვისებები სახლში ყალიბდება. როგორი პროფესიონალი პედაგოგიც არ უნდა შეხვდეს სკოლაში მოსწავლეს, რომელსაც უკვე გარკვეული წარმოდგენა აქვს სიკეთისა და ბოროტების შესახებ, გამომუშავებული აქვს საკუთარი პოზიტიური და მავნე ჩვევები, მას ძალიან გაუჭირდება მოსწავლის დამოკიდებულებებისა და ღირებულებების შეცვლა.

წინადადებებზე გადასვლა

3. მშობლები შვილების აღზრდის პროცესში ტიპობრივ შეცდომებს უშვებენ: ნაკლებად ითვალისწინებენ მათს ინტერესებსა და სურვილებს, აქცენტი გადააქვთ ფიზიკურ განვითარებაზე, მიღწევებს გადაჭარბებულად უფასებენ, უსახავენ არარეალისტურ მიზნებს, გამუდმებით ადარებენ სხვა ბავშვებს...

4. როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები და მასწავლებლები? უნდა შეეცადონ შეხედონ ბავშვის პრობლემებს მისივე თვალით. მას ხომ უფროსებზე მეტად უჭირს სირთულეებთან გამკლავება. ეცადონ გაარკვიონ მიზეზები, თუ რატომ უჭირს ბავშვს. არ შეაფასონ ის, როგორც „ცუდი“ ან „გამოუსწორებელი“ მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეულ შეცდომებს უშვებს. მშობლებმა, მასწავლებლებმა და საზოგადოებამ უნდა ითანამშრომლონ, თანამიმდევრულად იმოქმედონ ბავშვთან ურთიერთობისას და, სირთულეების მიუხედავად, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

წინადადებებზე გადასვლა

წინადადების N	წინადადებები	დიახ	არა	აბზაცის N
0.	*ადამიანის მთავარი პიროვნული თვისებების ფორმირება ოჯახში ხდება.*	*X*		*2*
1.	არასწორი აღზრდა ყოველთვის აფერხებს ადამიანის კარიერულ წინსვლას.			
2.	დადგენილია, რომ აღზრდის პროცესში მშობლები დაახლოებით ერთნაირ შეცდომებს უშვებენ.			
3.	ზოგი ბავშვი შესაძლოა პიროვნებად მხოლოდ ზრდასრულ ასაკში ჩამოყალიბდეს.			
4.	ზოგი მიიჩნევს, რომ ქცევის შესახებ „რთულ“ ბავშვებთან საუბარს აზრი არა აქვს, რადგანაც ისინი ყველაფერს მაინც თავისებურად აკეთებენ.			
5.	თუ მშობლები და მასწავლებლები ერთად იმოქმედებენ, პრობლემურ ბავშვებთან ურთი-ერთობისას სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ.			
6.	თუ უფროსები შეეცდებიან შეხედონ ბავშვის პრობლემებს მისივე თვალით, გაუჭირდებათ მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა.			
7.	მშობლები ხშირად უსახავენ შვილებს ისეთ მიზნებს, რომელთა მიღწევაც ბავშვის ძალას აღემატება.			
8.	პედაგოგს ნებისმიერ დროს შეუძლია ცვლილება შეიტანოს ბავშვის ღირებულებებში.			
9.	„რთული“ ქცევის ბავშვების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი უყურადღებობაა.			
10.	ყველა ფსიქოლოგი თანხმდება, რომ ადრეულ ასაკში ბავშვის აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება შეუძლებელია.			

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

III. წერა (20 ქულა)

24. არგუმენტირებულად იმსჯელეთ ქვემოთ მოყვანილი საკითხის შესახებ.

სახელმწიფო შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაწყებითი საფეხურის ბოლოს არაქართულენოვან მოსწავლეთა დიდი ნაწილი სათანადო დონეზე ვერ ფლობს სახელმწიფო ენას.

დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი, რომელთა გამო დღემდე ვერ ხერხდება სასურველი შედეგის მიღწევა და იმსჯელეთ, როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება.

N 24 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილი!

ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.

არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!

IV. პროფესიული ცოდნა (25 ქულა)

(10) 25. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმე-ბი. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ *(ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ტექსტი	სწორი ვარიანტები
პირველი ქართულ-ენოვანი ნაბეჭდი წიგნი ქართულ-იტალიური ლექსიკონია, რომელიც გა-	00. - ქართულენოვანი -
მოიცა რომში 1629 წელს. იგი სტეფანო პაოლინიმ ნიკიფორე ირბახის დახმარებით შეადგინა.	0. ---------- √ ----------
ქართველი ბერი ნიკიფორე იმ დროს თეიმურაზ I-ლის წარმომადგენელი იყო ევროპაში.	1. ----------
წიგნში 3084 ლექსიკური ერთეულია, რომელიც ანბანის რიგზეა გაწყობილი სამ სვეტად	2. ----------
შემდეგი თანამიმდევრობით: ქართული სიტყვა, თავისი დაწერილობა ლათინური ასოებით	3. ----------
და განმარტება იტალიურად. ლექსიკონის ერთ-ერთი ეგზემპლიარი დღეს ვატიკანის ბიბ-	4. ----------
ლიოთეკაშია დაცული. იგივე წელს დაიბეჭდა მეორე წიგნი – „ქართული ანბანი ლოცვანი-	5. ----------
თურთ“, რის შედგენაშიც ნიკიფორე მონაწილეობდა. იტალიაში ქართული წიგნის გამოცემამ	6. ----------
ხელი შეუწყო ევროპელების დაინტერესებას ჩვენი კულტურით. მან ასევე მოამზადა ნიადაგი	7. ----------
წიგნის ბეჭდვისათვის საქართველოში. 1708 წელს მეფე ვახტანგიმ თბილისში დააარსა სტამბა,	8. ----------
რომელმაც 1722 წლამდე იარსება. აქ დაბეჭდილ წიგნებს შორის იყო „ვეფხისტყაოსნის“	9. ----------
მეცნიერულად დადგენილი ტექსტი ვახტანგ მეექვსეს კომენტარებით.	10. ----------

NN 26-37 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.

იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილები (შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები).

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, NN 26-35 დავალებების პასუხები დადებითად არ შეფასდება, თუ მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომას გაასწორებთ და არ დაწერთ დავალების პირობის შესაბამის განმარტებას.

(1) **26.** მოსწავლემ დაწერა წინადადება: *დავალების შესასრულებლად კლასი რამდენიმე ხუთ კაციან ჯგუფად დაიყო.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **27.** მოსწავლემ დაწერა წინადადება: *დავალებას იოლათ გავართვით თავი.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **28.** მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ჩემს ახალ პროექტს მეგობრებს გარდა არავინ იცნობს.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **29.** მოსწავლემ დაწერა წინადადება: *უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს შორის ნათია ყველაზე წარმატებულია.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **30.** მოსწავლემ დაწერა ზმნა: *გავნმარტოვდი.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 31. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *დათო საზღვარგარეთ სწავლობს და თავის და-ძმას ხშირად წერს წერილებს.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 32. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ბავშვები ყურადღება გამოიჩინეს მოხუცის მიმართ.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 33. მოსწავლემ აღნიშნა: ზმნებში – *მიხვდა, შეხვდა* – ზმნისწინები *(მი-, შე-)* აწარმოებს სრულ ასპექტს.
განუმარტეთ მოსწავლეს, კიდევ რა ფუნქცია აქვს ამ ზმნისწინებს მოცემულ ზმნებში.

(1) 34. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ღონისძიებაში ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობა აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 35. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ეს პრობლემა ჩემი აზრით, კლასში უნდა მოგვარდეს.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(3) 36. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *იმისათვის დავიგვიანე, რომ ტრანსპორტი დროულად არ მოვიდა.*
ა) გაუსწორეთ მოსწავლეს შეცდომა.
ბ) რა ტიპის შეცდომაა დაშვებული მოცემულ წინადადებაში?
გ) განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 37. იმსჯელეთ, რომელი ქართული ფილმის ნახვას შესთავაზებდით მოსწავლეებს და რატომ.